სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N35010401/141

ქ. თბილისი 31.10.2017 წ.

1.ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ტელკო სისტემს“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის“ საჭიროებისთვის ქსელის აქსესუარების (შემდგომში - „საქონელი“ ან „შესყიდვის ობიექტი“; CPV კოდი: 31300000; 31311000) გამარტივებული შესყიდვა.

2.2. საქონლის დასახელება, მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ღირებულება, საერთო ღირებულება, საგარანტიო ვადა, მიწოდების ვადა და ადგილი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3 265 (სამი ათას ორას სამოცდახუთი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, (საქონლის მიწოდების ვადის პირველ სამუშაო დღედ ითვლება ხელშეკრულების გაფორმების დღე) მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51.

4.2. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით, „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ–ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ–ს გადამხდელი, რის საფუძველზეც წერილობითი ფორმით ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი, სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო თუ „მიმწოდებელი” არ არის დღგ–ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ–ს გადამხდელი და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

7. გარანტია

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

7.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე;

7.3. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადაში არ გამოავლენს დეფექტებს;

7.4. ხელშეკრულების N1 დანართის მე-7 პოზიციაზე მითითებული საქონლის საგარანტიო ვადაა 3 (სამი) თვე, მხარეთა შორის „მიღება–ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან.

7.5. წუნის შემთხვევაში, „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეკეთება და/ან შეცვლა.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. მიაწოდოს ,,შემსყიდველს” საქონელი დადგენილ ვადაში.

8.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

8.1.3. წუნის შემთხვევაში, „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეკეთება და/ან შეცვლა.

8.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა უფლებები

9.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.

9.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

9.2.1. არ აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით მოწოდებული (წუნდებული) „საქონლის“ ღირებულება და მოსთხოვოს მას იმოქმედოს, წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.3. პუნქტის შესაბამისად და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების 14.1. პუნქტის შესაბამისად;

9.2.2. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის რაოდენობისა და შესაბამისობის კონტროლი;

9.2.3. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

10.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

10.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

10.2.3. ეპიდემიები;

10.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

10.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება ან ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და/ან ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

10.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

10.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

10.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

10.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.

11.ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.3. პუნქტით განსაზღვრული ვადის მიმდინარეობისას), მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის გადახდა.

14.4. ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და/ან საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლევან ჩერქეზიშვილი.

15.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

15.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

15.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

17.2. ხელშეკრულების 17.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.

17.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

17.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

17.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

17.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. დასკვნითი დებულებები

19.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

19.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

19.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
19.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
19.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
19.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
19.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
19.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.
19.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
19.10. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

20. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი"
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ.N144, საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	შპს „ტელკო სისტემს“ ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.N29ა ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ. GE75TB4021536020100006 ს/კ N205203279
_____	_____
თამაზ მოდებაძე სააგენტოს დირექტორის მოადგილე	ირაკლი გულიაშვილი დირექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

ბ. დათუკიშვილი

ზ. ჭანტურია

ლ. ჩერქეზიშვილი

მ. შავშიშვილი

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	საგარანტიო ვადა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ვადა და ადგილი
1	ქსელის თავაკი	cat 5e UTP RJ45 connector	ცალი	2000	-------	0.10	200	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51
2	ქსელის კაბელი	CCA Cat5e UTP 0.5mm 0.008mm 305m	ცალი	15	------	61.50	922.50	
3	ქსელის თავაკის დამჭერი	CSP – 1062 (დასაჭეკი ხელსაწყო)	ცალი	10	--------	19	190	
4	ქსელის შესაერთებელი	RJ-45 Modular Cord Coupler	ცალი	40	--------	0.75	30	
5	ქსელის როზეტი კედელზე მისამაგრებელი	Keystone jacks for 2 port RJ 45 UTP cat 5473 (Outlet)	ცალი	100	-------	4.50	450	
6	ქსელის როზეტი კედელში ჩასასმელი	Faceplate with 2 RJ45 cat5e UTP 3u	ცალი	100	------	6.70	670	
7	PoE - ადაპტერი	PoE 15F-Single port PoE injector, plastic case	ცალი	25	3 თვე	32.10	802.50	
	ჯამი						3 265 ლარი	

„შემსყიდველი“

თამაზ მოდებაძე
სააგენტოს დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

ირაკლი გულიაშვილი
დირექტორი

31.10.2017 წ.

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის 31 ოქტომბერს „შემსყიდველის“ საჭიროებისათვის ქსელის აქსესუარების გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ N35010401/141 ხელშეკრულებაში *(შპს „ტელკო სისტემს“)*, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე – 8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

სააგენტოს დირექტორის მოადგილე
თამაზ მოდებაძე _____

ლელა მამულაშვილი _____

ზაზა ჭანტურია _____

მაია შავშიშვილი _____

ბესიკ დათუკიშვილი _____

ლევან ჩერქეზიშვილი _____